ციურიხში ქრისტეს აღდგომის სახელობის სამრევლოს 85-ე წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაული გაიმართა

2021 წლის 19 სექტემბერს, სულთმოფენობიდან მე-13 კვირიაკეს, ციურიხში ერთ-ერთი უდიდესი ადგილობრივი მართლმადიდებლური ქრისტეს აღდგომის სახელობის სამრევლოს დაარსების 85 წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაული გაიმართა. ამ დღეს – სექტემბრის მესამე კვირას – ასევე აღინიშნება ყველა ჰელვეტიელი წმინდანის ხსენება.

ქ. ციურიხის აღდგომის ტაძარში სადღესასწაულო საღმრთო ლიტურგია დასავლეთ ევროპის საპატრიარქო ეგზარქოსმა, კორსუნისა და დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტმა ანტონიმ აღავლინა.

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას თანამსახურებდნენ ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი მიხეილ

ზემანი, შვეიცარიის სამრევლოების კეთილმოწესე, არქიმანდრიტი მარტინი (დე კაფლიში), კორსუნის ეპარქიალური მმართველობის მდივანი, მღვდელი მაქსიმ პოლიტოვი, პროტოდიაკონი ნიკოლოზ რებინდერი და დეკანოზი დანიელ შერერი.

საღმრთო ლიტურგია საეკლესიო სლავურ და გერმანულ ენებზე შესრულდა.

ღვთისმსახურებაზე გალობდა სამრევლო გუნდი ნ. დალვიტ-სამინსკაიას ხელმძღვანელობით.

ლიტურგიის დასასრულს მიტროპოლიტმა ანტონიმ და მისმა თანამსახურმა სასულიერო პირებმა სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს ყველა ჰელვეტიელი წმინდანის ხატის წინაშე და თაყვანს სცეს ეკლესიაში დაცულ მათ წმინდა ნაწილებს.

პარაკლისის დასრულების შემდეგ, საპატრიარქო ეგზარქოსმა მლოცველებს სამწყემსთმთავრო სიტყვით მიმართა, რომელშიც ეკლესიის კლირიკოსებს და მრევლს სამრევლოს დაარსების 85 წლის იუბილე და ადგილობრივ წმინდანთა კრების ხსენების დღე მიულოცა. მწყემსმთავარმა ეკლესიას ვერცხლის საცეცხლური გადასცა, ხოლო სამრევლოს წინამძღვარ დეკანოზ მიქაელს – გულსაკიდი ჯვარი სასაჩუქრე წარწერით.

საპასუხო სიტყვაში, ეკლესიის წინამძღვარმა მიტროპოლიტ ანტონის მადლობა გადაუხადა სამწყემსმთავრო ვიზიტისთვის, რომელიც რთული ეპიდემიოლოგიური პირობების მიუხედავად შედგა და მეუფეს ყველა ჰელვეტიელი წმინდანის ხატის ასლი გადასცა საჩუქრად.

შემდეგ, ციურიხში სამრევლოს დაარსების წლისთავთან დაკავშირებით, სადღესასწაულო სადილი გაიმართა, რომელსაც შვეიცარიის კონფედერაციაში რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ს. ჰარმონინი დაესწრო.

კორსუნის ეპარქია/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88102/